

მწყეპსი

კათოლიკოსის
გენერალ-სამართალის



მე ვარ მწყეპსი კეთილი: მწყეპსმან კეთილმან სული თვისი დახსნის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).
 მკოვე ცხოვარი ჩემი წაწყვედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის კლდელისა. (ლუკ. 15—4).
 მიველდი ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტერით-მიძიენი და მე განგცენვი თქვენ. (მათ. 11 28).

№ 7

1883—1896

15 აპრილი

გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი:

„მ წყ ე მ ს ი“	„მ წყ ე მ ს ი“ რუსული გამოცემით
12 თვეთ 3 მან	12 თვეთ 5 მან.
6 — 2 —	6 — 3 —

ფულისა და წერილების გავზენა შეიძლება ამ ადრესით:
Въ Кавказѣ, въ издѣніи „Миссионеръ“ и „Народныя“.

შველა სტატიები და კორექსიონები, რომელიცა იქმნებთან დასაბუტდაეთ გამოგზავნილი, ვრკულად და გასაგებ-ბად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილინი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვისი განმავ-ლოებაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.
 სტატიები მიიღებთან რუსულს ენაზე დაწერილიც და თარგმნით დაიბეჭდებთან.

ღ. რ. ი. შანანიშანიანი ხანა მთელი ჩვენი იხვა-რის სახელმძღვანელობისა—1869 და 1896 წელნი.

1869 წლებში სასახლო სკოლების ერთი დირექტორი საოცრად აღიჭურვა სამრევლო სკოლების წინააღმდეგ. იგი არაერთად ღონის-ბაგებს არ ზოგავდა, რომ სამღვდლოებისათვის ჩამოერთმია უფლება სამრევლო სკოლა-

ბის მმართველ-გამგებობისა. იგი თავისი მიზნის მიხედვით არაერთად ცალისწილებას და ბეზ-ლობას არ ერიდებოდა. მართლაც ეს ვაჟ-ბა-ტონი მოესწრო იმ დროს, როცა სამღვდლო-ებს ჩამოერთვა უფლება სამრევლო სკოლების გასწავლისა და მასთან შესაძენვეად შებორკეს სამღვდლოების უფლება სამრევლო სკოლებში სწავლა-განათლების საქმის წარმოების შესა-სებ. სამღვდლოებსა უოველივე ანგარიში

საქ. სსრ კ. მარკუსი
 სახ. სახ. რესპუბ.
 გიგლიოთიკა




სამრევლო სკოლების შესახებ სახალხო დირექტორების და მათი ინსპექტორებისათვის უნდა ეძლია. ჩვენს მხარეში ერთმა გუბერნატორმა კიდევ სცადა, რომ ვეღვა სამრევლო სკოლები მთელს გუბერნიამი დაეხურა, მაგრამ მან ამ თავისს სურვილს სავსებით ვერ მიადწია. ამ რეფორმების შემოღების დროს სოციერობა მდგელთ-მთავრებმა აღიმადლეს ხმა და წინ აღუდგენ სამდგელოების ასე დამცირებას და მასთან გაბეჯვით გამოთქვეს, რომ მალე მოვა ის დრო, როცა ვეღვანი გამოცდილებით დარწმუნდებიან, რომ ამგვარი რეფორმა სახარალოა სასოგადოდ და ხელმძღვრედ იძულებულნი იქნებიან დაუბრუნდენ ძველი რეფორმების განხორციელებას.

განულო 27 წელო. ამ დრომ, მართლაც, ცხადით დაუმტკიცა ვეღვს, რომ სწავლა-განათლება მოკლებული სარწმუნოებრივ და ზნეობრივ სწავლა-განათლებას, არა თუ სასარკებლო არ არის, არამედ დიდი ძაზნებელია.

მართებლობას არა დაუბრუნია რა საერო სკოლებისათვის. ნიუთიერის მსრით მმუნეიერს მდგომარეობაში იყენენ საერო სკოლების დირექტორები, ინსპექტორები და მასწავლებლებნი. მაგრამ ძმდენი ხნის განმავლობაში ეს კაცში ძლიერსათ კაცს მონახავდით წერა-კითხვის მცოდნეს. ამიტომაც ხალხის გული ვერ მოიგეს, რადგან საერო სკოლებში ბავშვები ცოტად თუ ბეგრად მოკლებულნი იყენენ კვლესიურ განათლებას. ბოლოს უმაღლესმა მართებლობამ უსრადლება მიუქცია ხალხის ხმას,

ხალხის სურვილს და გაიხმა ხმა სასისარულო, ხმა ძლიერი. დიდი ხანი არ არის, რაც სამდგელოებას დაუბრუნდა თავისი უფლება. სამდგელოებას მიენდო ზირველ-დაწეებითი სკოლების დაარსება და მათში სწავლა-განათლების საქმის მმართვა-გამკეობა. ამ მიმდინარე წლის თებერლის თვეში გამოიცა მტატის წეობილება და უმაღლესად დამტკიცებული კანონები სამრევლო სკოლების შესახებ, რომელთაც ძკითხველი ამავე ნომერში წაიკითხავს. ამ სახით ასრულდა წინასწარმეტყველება ჩვენი მწეემსთ-მთავრებისა და დადა სასურველი დრო ხალხის უძეტესობისათვის. სამდგელოებას მიენდო წერა-კითხვის და ზირველ დასაწეის სკოლების დაარსების საქმე. მოვალეობა დიდი და მასთან სასახელო. სამდგელოება, იმედია, კამართლებს მართებლობის რწმუნებას და ხალხში წერა-კითხვის ვავრცელებით დაუმტკიცებს მთავრობას, რომ იგი, სამდგელოება, ღირსია ამ რწმუნებისა. დიერთი იეოს ჩვენი შეწე! ადგავლინოთ მხურვალე ლოცვა ღვთის წინაშე და ერთგულათ მიჯნული ჩვენ სამწესოთა განათლების საქმეს, 1884 და 1896 წელნი სამუდამო სასსოფრად უნდა დარჩეს ჩვენ ხსოვნაში, რადგან ამ წლებში მძკოლებულ რეფორმებს დიდი სარკებლობის მოტანა შეუძლია ჩვენ სამწესოთათვის, თუ კი ჩვენ, სამდგელოება, ჯეროვანად მოვისმართ ჩვენდამი ბოძებულ უფლებათა.

დგ. დ. ღამბაშიძე



ალიკვეცა 1807 წ. პეტერბურგში და სახელად იონა ეწოდა. შემდეგ 1808 წელში მ. იოანე არქიმანდრიტის ხარისხით დანიშნა ახალი კალევის სემინარიის რექტორად; 1810 წ. მ. იოანე დანიშნა ინსპექტორად და ეკონომად პეტერბურგის აკადემიისა; 1812 წ. დანიშნა ტამბოვის ეპისკოპოსად; 1821 წ. დანიშნა ასტრახანის მთავარ-ეპისკოპოსად და ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ იგი დანიშნა საქართველოს ექსარხოსად, სადაც 1828 წ. მიიღო მიტროპოლიტობა. 1832 წლიდან ყოველდღე უსამღვდელოესი იონა გარდაყვანილ იქნა პეტერბურგში და ესწრებოდა უწ. სინოდში, ხოლო 1849 წელს ღრმა მოხუცებულად გარდაიცვალა და დაკრძალულია ალექსანდრო-ნეველის ლავრაში.

IV. საქართველოს მეოთხე ექსარხოსი იყო ყოველდღე უსამღვდელოესი მოსე, ერის კაცობაში მათე მიხეილის ძე ბოდანაოვი-პლატანოვი, დაიბადა 1780 წ. კალამის ეპარქიაში, თავდაპირველად სწავლობდა მისკოვის, გერეთ წოდებულ, სლავიანო-გრეკო-ლათინურ აკადემიაში, ხოლო 1801 წ. ტროიკის მონასტრის სემინარიაში, რომელიც იმ დროს პირველ სემინარიათ ითვლებოდა; როცა აქ სწავლა დაამთავრა, ბერათ ალიკვეცა და აქედან გაგზავნილ იქნა პეტერბურგის აკადემიაში, სადაც 1814 წელში მიიღო მაგისტრობა და დანიშნა აკადემიის ბაკალავრად; 1817 წლიდან იყო სემინარიის და აკადემიის რექტორად კიევში, სადაც მიიღო ღვთის-მეტყველების დოქტორის ხარისხი. 1824 წ. მოსე დანიშნა სტარარუსის ეპისკოპოსად, ნოვგოროდის მიტროპოლიტისა, ხოლო 1827 წ. გადაყვანილ იქნა ეპისკოპოსად ვოლგოდაში, შემდეგ წელში სარატოვში, სადაც პირველი ეპისკოპოსი იყო ამ ახლად გახსნილ ეპარქიაში. აქედან კი 1832 წ. მიიღო საქართველოს ექსარხოსობა. თბილისში მათმა მეუღლემ მოსემ ცოტა ხანს იტხოვრა და 1834 წელში, ზაფხულში გარდაიცვალა (ხოლორისაგან?); დასაფლავებულ იქნა სიონის ტაძარში.

V. საქართველოს მეხუთე ექსარხოსად იყო ყოველდღე უსამღვდელოესი ევგენი, ერის კაცობაში აბ. ფილიპესძე ბაქანოვი, ტულის ეპარქიიდან, დაიბადა 1785 წ. 1795 წ. სწავლობდა ტულის სემინარიაში, 1808 წლიდან სწავლობდა მოსკოვის აკადემიაში, 1811 წელს იყო ტულის სემინარიის მასწავლებლად და პროფესორად, 1819 წლიდან დაი-

ნიშნა კოსტრომის სემინარიის რექტორად; 1829 წ. დანიშნა ტამბოვის ეპისკოპოსად, 1832 წ. გადაყვანილ იქნა მისკოში, ხოლო 1834 წ. დანიშნულ იქნა საქართველოს ექსარხოსად. აქ ათი წლის განმავლობაში მათი მეუფება ევგენი სასტიკი უსულებით განაგებდა მისდამი რწმუნებულ სამწყსოს; ხოლო 1844 წ. გადაყვანილ მთავარ-ეპისკოპოსად ასტრახანში 1845 წლიდან იყო პსკოვის მთავარ-ეპისკოპოსად, სადაც 1862 წელში კიდევ გადაიკვალა.

VI. საქართველოს მეექვსე ექსარხოსად იყო ყოველდღე უსამღვდელოესი ისიდორე, ერის კაცობაში იაკობ ნიკოლსკი, დაიბადა 1799 წ. ტული ეპარქიაში. სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის აკადემიაში, სადაც 1825 წლიდან იყო ბაკალავრად. 1829 წლიდან დანიშნა ჯერ ორლოვის და მოსკოვის სემინარიების რექტორად, 1834 წელში დანიშნა დიმიტროუსკის ეპისკოპოსად; 1837 წ. იყო პოლოცკის ეპისკოპოსად. 1840 მოვიღვეის ეპისკოპოსად და 1841 წელში მიიღო მთავარ-ეპისკოპოსობა; საქართველოს ექსარხოსობა მიიღო 1844 წ. მათმა მეუფებამ გერი იღვწა საკეთილ-დღეოდ საქართველოსა თავად გორონკოვთან ერთად. 1856 წლიდან მას ებოძა მიტროპოლიტობა და ამ ხარისხით მათი მეუფება გადაყვანილ იქნა 1858 წ. კიევში. 1860 წ. მიტროპოლიტი ისიდორე დანიშნა პეტერბურგის, ნოვგოროდის და ფილიანდის მიტროპოლიტად და უწმ. სინოდის უფროსი წევრად. მათი მეუფება ბევრ ცეკილებათ მოესწრა 60, 70 და 80 წლებში. მათ მეუფებას მიღებული ჰქონდა ყველა ნაირი ჯილდოები და გარდაიცვალა 1892 წ. ღრმა მოხუცებულობაში (93 წ.).

მათი მეუფება გარეგანი შეხედულებით ვერაფერი წარმოსადგვი იყო, მაგრამ ძლიერ მშვიდობიანი ხასიათის კაცი და სამაგალითო შრომის მოყვარე იყო.

VII. საქართველოს მეშვიდე ექსარხოსად იყო ყოველდღე უსამღვდელოესი ევსევი, ერის კაცობაში ალექსი ილინსკი, დაიბადა შიბოლოვებით 1808 წ., 1834 წ. ბერათ ალიკვეცა, 1835 წელში სწავლა დაასრულა კიევის აკადემიაში მაღისტრის ხარისხით. იყო პეტერბურგის აკადემიის ბაკალავრად, ჯერ კიევის და მერ ვილენსკის სემინარიების რექტორად. 1849 წლიდან იყო კოვენსკის ეპისკოპოსად, 1851



საქართველოს
ხალხთა მწიგნობრობის
სამეცნიერო ბიბლიოთეკა

წ. ზოდოლის ეპისკოპოსად, 1858 წლიდან 1877 წლამდე თითქმის 20 წლის განმავლობაში მათი მეუღემა ვესევი იყო საქართველოს ექსარხოსად. 1878 წლის დასაწყისში მათი მეუღემა გადაყვანილ იქმნა ტყერის მთავარ-ეპისკოპოსად, სადაც 1879 წელში კიდევ გადაიყვანა. მათი მალალ ყოვლად უსამღვდელოესობა ვესევი იყო დიდი ნიჭიერების მქონე, შესანიშნავი აღმინისტრატორი და მასთან შეგნეირი წარმოსადგევი. მრავალი მისი პატივისცემელი და მოწაფეები ვილნაში და თბილისში დღემდისაც გავიერებული არიან მათი მეუფების წამოსადგეობით, მისი მხედველობით და მისი კრძალულებითი ლეთის-მსახურებით; მათი მეუფება დიდხანს ცხოვრებად საქართველოში, სხვა-და-სხვა რეფორმების დროს, და ბვერი რამ კეთილი მოიქმედა, როგორც მაგალითად, სამღვდელოების ნიეთიერი მღვობარეობის განკარგების შესახებ, ისე სასულიერო სასწავლებლების დაარსების და მათში სწავლის საქმის განკარგების შესახებ.

VIII. საქართველოს მერვე ექსარხოსად იყო მისი მალალ ყოვლად უსამღვდელოესობა იოანნიკე, ერის კაცობაში იოანე მაქსიმეს ძე რუნდევი, ტულის ეპარქიადან. 1849 წელში კივის აკადემიაში სწავლა დაასრულა მაღისტრის ხარისხით; ამავე აკადემიაში მსახურებდა პროფესორად; შემდეგ იყო რექტორად კივის სემინარიისა, პეტერბურგის აკადემიისა, ეპისკოპოსად ვიბორგისა, სარატოვისა, ნიეგოროდისა, და 1878 წლიდან საქართველოს ექსარხოსად. 1882 წ. 1892 წლამდე შესანიშნავი და საუკუნო მოსახსენებელი საქმე დასრულა მალალ ყოვლად უსამღვდელოესმა მიტროპოლიტმა იოანემ საქართველოში მყოფობის დროს. იმის თაოსნობით და მისი დიდი შეწირულებით დაარსდა თბილისში ეპარქიალური ქალებების სასწავლებელი. მან თავისი შეწირულებით დაარსა თექვსმეტი სტიპენდია. ამ თექვსმეტი სტიპენდით ყველა საქსარხოსოს ეპარქიის სამღვდელოებად სარგებლობს. მალალ ყოვლად უსამღვდელოესი იოანევი იყო მოსკოვის მიტროპოლიტად, ხოლო დღეს განაგებს კივის მიტროპოლიას; მათი მეუფება 68 წლისა.

IX. საქართველოს მეცხრე ექსარხოსი იყო მალალ ყოვლად უსამღვდელოესობა ჰაველი, ერის კაცობაში პეტრე ივანეს ძე ლებედევი, დიბაბა ტყერის ეპარქიაში 1830—31 წ., მაღისტრის

ხარისხით სწავლა დაამთავრა პეტერბურგის აკადემიაში, 1853 წელში იყო ინსპექტორად და რექტორად სმოლენსკის სემინარიისა, პეტერბურგისა; ეპისკოპოსად ლადოგისა, კიშინევისა 1871 წ. საქართველოს ექსარხოსად 1882 წლიდან, 1887 წ. ორჯერ იყო მოწვეული უწმ. სინოდში; 1888 წ. იყო ყაზანის მთავარ-ეპისკოპოსად; გადაიკვალა ყაზანში 23 აპრილს 1891 წ. მათ მეუფებას ჰქონდა ნიჭი გამგეობისა, იყო ნიჭიერი მქადაგებელი და მშრომელი.

X. საქართველოს მეათე ექსარხოსად 1887 წ. დაინიშნა მათი მალალ ყოვლად უსამღვდელოესობა პალლადი, ერის კაცობაში ჰაველი ივ. რავეი, ნიენგოროდის ეპარქიადან. 1852 წ. მათ დაამთავრეს სწავლა ყაზანის აკადემიაში მაღისტრის ხარისხით; იყო ნიეგოროდის სემინარიის ინსპექტორად, პეტერბურგის აკადემიისა ეპისკოპოსად ვოლგოდისა, ტამბოვსკისა, მთავარ ეპისკოპოსად რიაზანისა, ყაზანისა. საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა შემდეგ მთავარ-ეპისკოპოსის პაღესა პალლადი. თუ რა ნაყოფიერი იყო მისი სამსახური საქართველოში, ან როგორი ნაყოფიერია მათი მეუფების მსახურება მთელი იმპერიის სამღვდელოებისათვის, ეს კარგად მოხსენებთ ჩვენ მკითხველებს და განმეორება საქორათ აღარ მიგვანია.

თაგაპოს წაჟის წინააღმდეგ საგმვადლო პიკთაბან.

„კურსკის ეპარქიალურ უწყებებში“ დაბეჭდილია კურსკის ეპისკოპოსის იუენალის შემდეგი უქაზი:

„როგორც ჩემი ეპარქიის სამღვდელოების უმეტესობასთან ჩემი საკუთარი საუბრის დროს, ისე წერილობითი საჩივრებისაგან, რომელთაც მიგზავნიან მე სხვა-და-სხვა პირნი, ჩემდა სამწუხაროდ, ვრწმუნდები, რომ ზოგიერთ, მღვდელო-მოსამსახურეთ და მათ ცოლებსაც კი აქვთ მეტად ცუდი და საზიზღარი ჩვეულება—თამბაქოს წვევა, რომელი ჩვეულებაც არ შეგვიერის ტრაპეზის მოსამსახურეს. ეს ჩვეულება თავისთავად მიანებელია ტანშრთელობი-



სათვის და მასთან მღვდელ-მოსამსახურეთა წახედვით ბევრი სამწყსოთაგანაც უჩვევა თამბაქოს წევას, ხოლო სახარებაში მაცხოვარმა გვაძნწო, თუ რა დიდი სასჯელი მოელის მას, რომელიც თავისი მოქმედებით შეცდომაში შეიყვანს ვინმეს, და ამიტომ ჩემ მოვალეობად მიმაჩნია წინადადება მშ. ბლოღოჩინებს, რათა მათ ამ მაწებელ ჩვეულებას მაიქციონ განსაკუთრებითი ყურადღება და ჩემი სახელით მოითხოვონ ყველა მღვდელ-მოსამსახურეთაგან, რომელნიც თამბაქოს ეწვეიან, უარ-ჰყონ ეს მაწებელი ჩვეულება და შეცდომაში არ შეიყვანონ თავიანთი სამწყსო და ამ სახით ასცდნენ სასტიკ სასჯელს საშინელი განსჯის დღეს. მეც ჩემის მხრით ესთხოვ ყველა მღვდელ-მოსამსახურეთა მიატოვონ თამბაქოს წევვა. მართალია, ბალახი ცოდვა არ არის, მაგრამ ცოდვა ამ მკენარის ფოთოლის მოწვევის უზომო სურვილი. ზოგჯერ თვითონ სამწყსო ზრახავს თავის მღვდელ-მოსამსახურეს თამბაქოს წვეისათვის. აი რასა სწერს წმ. პავლე მოციქული კორინთელთადმი მიწერილ პირველ ეპისტოლეში: „ესრეთ რა სკოდიდეთ მათა მიმართ და გვემდეთ გონებასა მათსა უძლიერსა, ქრისტეს მიმართ სკოდავთ (ა. კორინ. 8, 12). შეიძლება სთქვან:--მნელია უარყოფა დიდი ხნის ჩვეულებისაო--ეს მართალია, მეც ვიტყვი, მაგრამ შესაძლებელია და ეს უსათუოდ ღვთისა და მისი ბრძანების გულისათვის უნდა აღსარულონ, ვინაიდან ამასვე ითხოვს სამღვდელეობისაგან მისი პირდაპირი მოვალეობა“.

ეს მშვენიერი განკარგულება, ჩვენ გვგონია, ყველა ეპარქიის სამღვდლეობას შეეხება. ჩვენ შიაც ხომ მრავალინ არიან, სამწუხაროდ, რომელთაც პაპიროსის ნიადაგ ხმარებისაგან თითები კომლით აქვსთ გაყვითლებული. ამას წინეთ განსვენებული ყოვლად სამღვდლო ვლად უდგენდა ბლაღოჩინებს, რომ თვალყური დაეჭირათ და თუ ვისმე შენიშნავდნენ თამბაქოს მწვევლს, მოესვენებინათ მისთვის, არა მიმხედველი, მათი საბლაღოჩინო იყო თუ არა თამბაქოს მწვეველი მღვდელი.

ეხლანდელ, ესრეთ წოდებულ, „ნასწავლ“ სამღვდლო პირთა შორის თავს იჩენს კიდევ ერთი უმგავანო მოღა მორათულობისა, რომელიც უნებლიეთ იქცევის სამწყსოს ყურადღებას. ეს მოღა ვახლავს ახ-

ლად შემოღებული კრაველის ქუდები. სწორეთ თბილისის კინტოს ქუდებს მოგაგანებს ზოგიერთი მღვდლის ქული. არ ვიცი, რათ არ ერიდებიან ეს მამები იმისთანა ქუდების დახურვას, რომელსაც ხმარობს საზოგადოდ უმეტესი ნაწილი? თუ კინტოებს ბაძვენ, რა მისაბაძვი არის ეს კინტოს ტყაუჩები? თუ ახიარებული ქუდებით უნდათ გარჩევა სხვა საზოგადო სამღვდლო პირთაგან, განა ქულით განსხვავდება კაცი და საზოგადოების ყურადღებასაც ქულით და? სახურებს?...!

მიწის ზვანი ს. სრეითში.

სოფელს ხრეთს, შორაპნის მახრაში, დილით, ოც-და-ოთხს მარტს მოხდა საშინელი უბედურება: მოზავდა და ჩინგრა მთელი ოცდა-ექვსი მოსახლის აზნაურისა და გლეხის ეზო, ვენახები და სახნავები და ჩამარხა მიწაში მათი სახლ-კარი და საცხოვრებელი. რადგან დღით მოხდა ეს უბედურება, მცხოვრებლებმა მოასწრეს სახლებიდან გამოკლვა; გადაარჩინეს აგრეთვე პირუტყვიც, ხოლო დანარჩენნი საცხოვრებელი: სახლები თავის მოწყობილობით, ქური და მარანი, სახვე ბეღლები და სასიმინდეები მტერად იქცა და ჩინტა უბსრკულში. დანგრეული ადგილი სივრცით იქნება სამი ოთხ-კუთხიანი ვერსი. შეუძლებელია გამოიკნოს კაცმა, ვინ სად მოსახლობდა, და ვისი რა იყო! ყოველივე არეული და გადახელილია ერთმანეთში... აღარ დარჩენიათ, არამც თუ სახნავ-სათესი, არამედ სახლის დასადგმელი ალაგიც, რომ შესძლონ შემდგომისათვის დასახლება! ამ გაუბედურებულ ხალხს დროებით თავი შეფარებული აქვს მეზობლებთან.

აღდგომის კვირაში, როდესაც ჩვეულებრივ მთელ იმერეთის სოფლის მცხოვრებლები იმღერიან, ლხინობენ და ქეიფობენ, ეს გაუბედურებული ხალხი, რიკებით 130-დამ 150-მდე სული გულზედ ხელდაწყობილი და თავდაკიდებული ოხვრით და ვაებით დასტიროდენ თავისს უსამუალო და უნუგემო დღე ვანდვლს და მომავალს ცხოვრებას!

ჩემს იქ ყოფნაში მოვიდენ შორაპნის მახრი



უფროსის გამოგზავნილი მოხელე და ადგილობრივი ბოქაულიც. მათის შეფასებით მთელის დაღუპულის უძრავ-მოძრავი ქონების ფასი შესდგა 89,651 მან. და 50 კაპ. თუ საჩქაროდ საიდამგე მათ შემწეობა არ მიეცათ, სიმშლით დაიხუცებიან!

ორმოცი მოსახლე, ამ დანგრეულ ადგილების მებოზლად მცხოვრები, მოელის აგრეთსავე უბედურებას; მთელი ამათი ადგილ-მამულიც დახსნილია და თანდათან ქვევით იწვეს. („ივერია“)

შორაპნის მაზრის დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტმა ძლიერ დაზარალებულთა სულზე დაუნიშნა ხუთ-ხუთი მანეთი და შემდეგში, რასაკვირველია, მეტს დაუნიშნავს. ამისთანავე უბედურობა დაემართათ სოფელს შროაში ამ უკანასკნელ დროს ექსიოდ გლესს. მთელი სახლ-კარობა წამოვიდა და მდინარე ძირულა შეაბუგა. გლეხები ვადარჩენ, მაგრამ სახლ-კარობა კი მოეშალათ.

მდინარეებმა იცვალეს თავისი ადგილი და ღიდ ზარალს უნდა მიელოდნენ შემდეგში ამ წლების მიმდინარეობის შეცვლით. საქმეს ადვილად დაეხმარება კაცი, მაგრამ მომხდელი არავინ არის. ფულით შემწეობას გარდა საჭიროა სხვა ნაირი ყურადღების მიქცევა ხალხისადმი. ბეჭდითი სიტყვას ბევრი რამ შეუძლია ამ შემთხვევაში, მაგრამ იგი ამ საქმის შესახებ ხმას არ იღებს.

1334, ებრაელნი 1657 და 1690, ქარიშხლი 1919 მამა-კაცი და სხვანი 1847 მამა-კაცი და 1372 ქალი. („კავკ.“)

* *

რუსეთის აუგურაის მცხოვრებთა რ. ცხვ., ფი-
ლიანდის დიდი სამთავროს მცხოვრებთა გამორიცხვით, 1892 წელში ყოფილა 119,288,804 კაცი. დაბადებულთა ამ წელში - 5,976,385 კაცი, მოკვდარა 4,403,901; ევროპის რუსეთში ამავე წელში ყოფილა 100,251,510 მცხოვრები, დაბადებულთა 4,365,542 კაცი, მოკვდარა 3,825,281, მამასადამე ამ წელში მცხოვრებთა რიცხვს უმატია 540,261; კავკასიაში - 7,864,202 მცხოვრები ყოფილა, დაბადებულთა 307,007, მოკვდარა - 309,999, მოკლენიანი 2,922 კაცი; ციმბირში - 4,856,902 მცხოვრები, დაბადებულთა - 226,852, მოკვდარა 209,128 209,128 კაცი. მცხოვრებთა რიცხვს უმატია 16,724 კაცი; შუაგულ აზიის სამფლობელოებში - 6,316,190 მცხოვრები, დაბადებულთა - 77,985, მოკვდარა 59,493 კაცი. მცხოვრებთა რიცხვს უმატია 18,492 კაცი. („კავკასია“)

* *

ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის საბჭო საქართველოს საეპარქოსოს სამღვდლოების საცნობელად აცხადებს, რომ მისის მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობის, საქართველოს ექსარქოსოს ვლადიმირის მიერ ამა 1895 წლის 30 ნოემბერს დამტკიცებულ საბჭოს საყურანლო დადგენილობით ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში შემსვლელთათვის დადგენილ წესდებისა და პროგრამის მე-5 წი შეცვლილია ასე: „სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში მიიღებიან ბავშვები 8-დან 11 წლამდე, რომელთაც იციან კითხვა, წერა და გაგება წაითხულისა რუსულად და ქართულად (უკანასკნელი რუსთ არ შეეხება) და აგრეთვე პირველ დაწყებითი საყოველთაო სასწავლებლის მამისათა“, „უფალო, შეგვიწყალენ“, „გვაკურთხენ ჩვენ, უფალო“, „მეუფესა ზეციერსა“, „წმიდაო ღმერთო“, „დიდება მამასა“, „ყოვლად წმიდაო სამებაო“, „მამაო ჩვენო“, „ღვთის-მშობე-

ახალი მშენებელი და შენიშვნები.

ტფილისის პოლიცემისტური აცნობებს თბილისის გუბერნატორს, რომ გასულს 1895 წელს ტფილისში სულ 162,351 მცხოვრებელი ყოფილა; მათგან 88,274 მამა კაცი 74077 ქალი; მათ შორის ყოფილან: ქართველები 21,936 მამა-კაცი და 19,615 ქალი, რუსები 15,693 და 13,290, ოსები 1123 და 877, ბერძნები 495 და 276, პოლონელები 1639 და 1198, გერმანელები 1221 და 808, სომხები 34,764 და 31, 437, თათრები 1601 და 1094. ქურთები 177 და 46, აისორები 1169 და 1027, ჩაჩნები 343 და 13, სპარსელები 4491 და

ქალწულა“, „გვაცხოვენ, უფლო“ და გაცნობილი აქვთ ანგარიში პირველ ათ რიცხვამდე.

* *

წარსულს 1895 წელში თბილისში ყოფილა მწვანელები 1235 კაცი და 980 ქალი, მათში ბეზობოველები, რომელთაც ქორწინება სწამთ, ყოფილა 675 კაცი და 405 ქალი, მოლოკნები, დუხოზორები და სხვანი — 1134 კაცი და 892 ქალი. და იუდეოები 100 კაცი 87 ქალი. ამ 1895 წელში მხოლოდ 3 მწვანელები შემოერთებია ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას.

* *

უმაღლესად დამტკიცებული წეს-რიგი, რა დღეს რა უნდა მოხდეს წმ. დავითგვინების დროს: 5 მაისს მათნი უდიდებულესობანი პეტრეს სასახლეში მიბრძანდებიან; 7 მაის ხოდინის ბანაკს დათვალაობენ მათნი უდიდებულესობანი; 8 მაისს პეტრეს სასახლესთან სერენადს დაუკრავს მუსიკა; 9 მაისს მათნი უდიდებულესობანი აღექვანდრეს სასახლეში გადაბრძანდებიან; 10 მაისს სვანგებო დესპანებსა და ელჩებს მიიღებენ; 11 მაისს მათნი უდიდებულესობანი იმარხულებენ; მიიღებენ სვანგებო ელჩებს; გამოცხადდება წმ. დავითგვინება, 12 მაისს მათნი უდიდებულესობანი იმარხულებენ; საეკლესიო პარადი იქმნება; გამოცხადდება წმ. დავითგვინება; სახელმწიფო დროშას აუკრთხებენ; 13 მაისს მათნი უდიდებულესობანი იმარხულებენ; გამოცხადდება წმ. დავითგვინება, საიმპერატორო სამკაულს გადიტანენ; მათნი უდიდებულესობანი კრემლში გადაბრძანდებიან; 14 მაისს, სამშაბათს, წმიდა დავითგვინება იქმნება; მათის უდიდებულესობისათვის სადილი თლილის ქვით ნაგებ სასახლეში იქმნება გამართული; ილიუმიწაცია; 15 მაისს მიულოკავენ; გამართული იქმნება სადილი სასულიერო წოდებისა და პირველის 2 კლასის პირთათვის თლილის ქვით ნაგებ სასახლეში; ილიუმიწაცია; 16 მაისს მილოკვა იქმნება; საღამოთი მათნი უდიდებულესობანი თლილის ქვით ნაგებ სასახლეში მიბრძანდებიან; ილიუმიწაცია; 17 მაისს მილოკვა იქმნება; საიმპერატორო სამკაულს გადიტანენ; დიდი წარმოდგენა იქმნება გამართული დიდს თეატრში; დამეს მათნი უდიდებულესობანი პეტრეს სასახლეში

გაათვევენ; 18 მაისს სახალხო დღესასწაულთა; პეტრეს სასახლეში სოფლის მამასახლისებისათვის სადილი იქნება გამართული; საფრანგეთის ელჩი ბალს გამართავს; 19 მაისს კრემლის სასახლის აღექვანდრეს დარბაზში წოდებთა წარმომადგენელთათვის სადილი იქნება გამართული; ბალი ავსტრიის ელჩისა; 20 მაისს ლიტურგია იქნება გარდახდილი ჩუღოვის მონასტერში; ბალი მოსკოვის გენერალ-გუბერნატორისა; 21 მაისს საეკლესიო პარადი დანიშნული; ბალი მოსკოვის თავად-აზნაურობისა; 22 მაისს მათნი უდიდებულესობანი სერგის მონასტერში წაბრძანდებიან; 23 მაისს კრემლის სასახლის აღექვანდრეს დარბაზში დიდი ბალი იქნება გამართული; 24 მაისს მუსიკალური კრება ექნება გერმანიის ელჩს; 25 მაისს კრემლის სასახლის გიორგის დარბაზში ელჩებისა და დესპანებისათვის სადილი იქნება გამართული; დამეს მათნი უდიდებულესობანი პეტრეს სასახლეში გაათვევენ; 26 მაისს ჯარებს დათვალაობენ; სადილი იქმნება გამართული სახელმწიფო და წოდებთა დაწესებულებების წამომადგენელთათვის კრემლის სასახლის აღექვანდრეს დარბაზში; მათნი უდიდებულესობანი მოსკოვიდან წაბრძანდებიან.

* *

სააღდგომოდ ქუთაისის ქალაქის სამმართველოს სააღდგომში დღესასწაულის პირველ ორ დღეს სადილი გაუმართეს ქალაქის ღარიბებს. თითოეულს დღეს 350 კაცი სადილობდა. ეს სადილი გამართულ იქმნა ქალაქის ექიმის უ. სევალის თავისნობით და შრომით. სადილისათვის საქორო ხორაგეულობა (ლორი), პასქა, კვერცხები, პური და ღვინო) თვითონ უფ. სევალომ მოკრიბა ვაჭრებში და სხვა კეთილმეტელ შემწირველ პირთაგან.

ჩვენ ნამდვილი წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ მარტვილის ორ-კლასიან სასწავლებელს დანიშნული აქვს 1200 მ. ეს ხარჯი სხვა სათემო ხარჯებთან ერთად უკვე დამტკიცებულია, მაგრამ კრედიტის გახსნა ხაზინაში არ მოხდება, ვიდრემდის ამის შესახებ უმაღლესი ნება-რთვა არ იქნება გამოთხოვილი.



შორაპნის მაზრაში, დაბა ყვირილაში, ამა წლის ივლისიდან გაიხსნება ხაზინა. ეს ამბავი სწორედ დიდი სასახარულო და სასარგებლოა ამ მაზრის მცხოვრებთათვის, რომელთაც ხვედრი გადასახადი ფულის ქუთაისის ხაზინაში შესატანად ამდენივე ფული გაზაში ეხარჯებოდათ. ესლა საქმე იმაზე მიმდგარი, თუ რომელი სახლი დაიჭირობა ყვირილაში ხაზინისათვის. იმედია, რომ მთავრობა შესაფერ ადგილას დაიჭირავებს ხაზინისათვის შენობას. ჩვენის შხრით ხაზინისათვის შესაფერ შენობად მიგვაჩნია ბ. თ. ხუსკვიძის სახლი, რკინის გზის მახლობლად მდებარე.

უმადლესი სასულიერო მთავრობის ნება-რთვით გადაწყვეტილია, რომ ამ წელში აღისუბანში ბ-ნ ნიკოლოზ ჩიკაიძისაგან შეწირულ მამულში და მისგანვე შეწირულ შენობაში გაიხსნას ორ-კლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა. ამ სკოლაში უნდა მომზადდნ წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელნი. ამ სკოლაში მიიღებიან ის მოსწავლენი, რომელთაც კარგათ ექნებათ სწავლა დამთავრებული ერთ კლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლებში. სწავლა ამ სკოლაში დაიწყება პირველ სექტემბრიდან. ამისთანავე ორ-კლასიანი სკოლა უნდა გაიხსნას კიდევ შორაპნის მაზრაში მეორე ადგილას. ამისთანა ადგილათ დასახლებულია ერთი ხმის უმეტესობით სოფელი რგანი და ამის გამო უპირატესობა წაერთვა ხარაგაულის, თუმცა აქაურები უფრო მომეტებულ შეწირულებას იძლეოდნენ. დღეს, როგორც ხმები ისმის, უმადლესი სასულიერო მართებლობა ორ-კლასიანი სამრევლო სკოლების გახსნის ნებას ანიჭებს იმ საზოგადოებას, რომელიც მომეტებულ შეწირულებას აღმოუჩენს ამ მასწავლებლებს ფულის, ადგილის და შენობის შეწირვით.

შორაპნის მაზრაში დაზარალებულ პირთა შესაწყენად ბ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ადგილობრივ კომიტეტს ორი ათასი მან. გადასცა.

ყველა მამასახლისები, რომელნიც დაბარებულნი არიან მოსკოვში მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა დაგვირგვინების დღესასწაულზე დასასწრებლად, უკვე მოემზადნ და ამა თვის 20-22 გავგზავრებიან რუსეთისკენ. მამასახლისების გამოსაწყობად საზოგადოებაში კომოზე თითო შუური მოკრიბეს. ამბობენ, რომ თითოეულ მამასახლისს გზისა და ტანისამოსისათვის ეძლევა 320 მანეთამდე. მოსკოვში მყოფობის დროს ამ მამასახლისებს ექნებათ სახელმწიფო სასმელ-საჭმელი და ბინა.


მმართველი ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლისათვის თავს ანებებს სამსახურს და რუსეთში მიდის. ეს მეოთხე მმართველია, რომ თანამდებობას თავს ანებებს ამ სასწავლებელში.

ქუთაისში ამ დღეებში ერთი სასწავლებლის მასწავლებელს შეურაცხება მიაყენეს საქმით ვილა-ცა შვერტლებმა.

იმერეთის ეპარქიის მეთავლაცურის ადგილზე დღეს ოთხი მთხოვნელია და ჯერეთ არ არის გადაწყვეტილი, თუ ვის მიეცემა ეს საპატოო თანამდებობა.

დამ. დ. ლაბაზნიძისაგან.

ვისაც პრაქტიკულად უნდა შესწავლა მეფუტკრეობისა, აპრილის და მაისის თვეებში შეუძლია ნახვა და დაკვირვება ბარტყობისა. ამისათვის მოვიწყვეთ მსურველთ ჩვენს საფუტკრეოში, დაბა ყვირილაში, სადაც მზადა ვართ ყველაფერი ვუჭვენოთ და შევატყობინოთ, რაკ კი გამოსადეგია იქნება მეფუტკრეთათვის.



მღვდელთა საეურაღებოთ.

მარშან ჩვენმა ერთმა მოღვაწემ ბ. ფილი-
მონ ქორიძემ გამოსცა პარტიტურა იმ ძველი,
ნამდვილი ქართული საეკლესიო გლო-
ბისა, რომელშიაც მოქცეულია იოანე ოქ-
როპირისა მღვდლისა და მღვდელ-მთავრის წი-
რვის საგალობლები და სხვა დანარჩენებსაც,
როგორც გვირდებთ, მალე მოგვაწოდებს. ამის
შემდეგ, იმედია, უკლებს მღვდელი თავისი მრევ-
ლის დახმარებით შეადგენს ქართულ მგალო-
ბელთა გუნდებს და განაშენებს კვლავ ძველი
გალობათ ქართულ წირვა-ლოცვას. ერთ წელ-
ზე მეტია, რაც მუავს ქართული მგალობელთა
გუნდი დ. უვირილის წმინდა ნინოს ეკლესია-
ზე. ამ გუნდს ქართულ-კახუ კილოზე ვაგა-
ლობებ. ახლა, რადგან ეს ძველი ქართული
გალობა ნოტებზე გადაღებული გამოვიდა, და-
ვიწყებ, ამ გალობის სწავლება და რაც შეესაფუ-
დებ, მშვენივრად გამოდის. ამის შემდეგ იმედი
მაქვს, სრულიად ვასწავლი გუნდს ამ საგა-
ლობლებს და რამდენიმე ხნის შემდეგ დ. უვი-
რილის წმინდა ნინოს ეკლესიაში ძველ ნამდ-
ვიდ ქართულ გალობას ვავიგონებთ. ამ ერთს
გუნდის მომზადებას, მოგეხსენებათ, დიდი შრო-
მა და ჯაფა დაჭირდება, ამისათვის მე მსურს,
რომ ერთ გუნდთან სხვებიც მოვამზადო და მით
გავავრცელო ეს ძველი ქართული გალობა.
ამისთვის მოუწოდებ შორაპნის მაზრის სამღვ-
დელთაგან, რომ ვისაც სურს ქართული მგა-
ლობელთა გუნდი ჰქავდეს ეკლესიაში, 1 აპ-
რილიდან 1896 წ. გამოგზავნოს ჩემთან (დ.
უვირილაში) რამდენიმე პირნი, რომელთაც შე-
საფერი ხმები ექნებათ ამ გალობისთვის გვირა-
ში ოთხი დღე: ორშაბათს, ოთხშაბათს, სუთშა-
ბათს და შაბათს 12 საათიდან სადამოს ხუთს სა-
ათამდე და მოუმზადებ ქართულ მგალობელთა

გუნდს მცირე საფასით. ჩემთან მოლაპარაკება
შეიძლება უოველდღე, დიდიდან სადამომდის.
ჩემი სახლი იუთხეთა დ. უვირილის წმინდა-სა-
ცავში.

ლოტბარი და უვირილის წმინდა ნინოს
ეკლესიის ქართულ მგალობელთა გუნდისა
სერგი ჯინჭვებლაძე.

საქყო კითხვების განმარტების პასუხი

მღ. მ. მ. მკ. ბავშვის ნათლისღების დროს ემბაზის
და გვირგვინის გურთხევის დროს
ანალოგის გარემოვლის დროს
არსად არ სწერია, რომ მღვდელს
ჯვარი ევალოს ხელში და ეს არც
საჭიროა.

როდესაც ღვდამა სქესი ინათ-
ლებთა, ნათლია ითვლება მიმრ-
ქმელი ქალი და, რასაკვირველია,
მ.ს უნდა ჰქავდეს მოსანათლავი
ურმა ხელში აუვანილი. რაც ტი-
ბიკანში არ სწერია, ის არც უნ-
და სრულდებოდეს.

მღ. გ. ფე—მკ. ერთად ერთი მედავითნის მეტი
თუ არ არის მრევლში, განწესე-
ბული მისი მასწავლებლად დაწი-
შენარ შეიძლება. მასწავლებელს
არავითარი უფლება არა აქვს, მოს-
წავლევები თავის ნებისამებრ დაით-
ხოვოს და შეკრიბოს, როცა უნდა.

მღვდელითა თავი გამკეტილი და
პატრონი სკოლისა და რა მას-
წავლებელი.

მედავითნე თუ არ ესწრება
მღვდელ-მოქმედებაზე, ამაზე გან-
ცხადება უნდა შეიტანოს მღვდელთ-
მან და ითხოვოს კანონიერი გან-
კარგულება. რით დასჯის ამისა-
თვის მედავითნეს კანონი, ეს მარ-
თებლობის საქმეა.



დაწვეულს. სოფლის აგებისათვის თუ ნებას მისცემენ გარდაცვალებულის დაძაბვაზე, რასაკვირველია, შეწირულებებისათვის და ეს შეწირულება ფუთით უნდა იყოს და არა საათით. თუ ძვირფასია საათი, შეიძლება მიიღონ და ფულად აქციონ და არა მფველმა წაიღოს...

მთავარ-დაჯიგანს ისე გაუოლა მრევლისა, როგორც მ. კან—ეკს. თქვენ და თქვენს მღვდელს გაციევიათ, უკანონოა.

მთავარ-დაჯიგანს შეიძლება რამდენიმე გარდაცვალებულას ერთად წესის აგება. მღვდელს შეუძლია უმოწიბოთაც უკუთხისას გვირგვანი თავისს სამრევლოს, მაგრამ უნდა მოიხსენოს «ობისკის» წიგნში, რომ ირ-ვენი იმისი სამრევლოსანი არიან.

რამდენიმე ბავშვის მონათლვა შეიძლება ერთ ემბაზში წყლის გამოუცვლელადაც. დიდ გამოსვლის დროს მღვდელს არ შეუძლია მოხსენება იმ შირებს გარდა, რომელნიც დანიშნულნი არ არიან მოსახსენებლად.

მღვდელს მონაზონობის ხარისხი უფლებას არავის აძლევს, და მსახურებულ მღვდელს წინ დაუდგეს. მღ. კან—ეკს. ტანმრთელი კაცის მოუშვადებლად ზაარება არ შეიძლება არა თუ რკინის გზაში მოსამსახურისა, არამედ უმეტესი თანამდებობის მექონისაცა.

მღვდელს, რომელიც მედავითნის ადგილზე იყო ჩამოყვანილი, იმ დროიდან ეწყება სამსახური, როცა მღვდელობა დაუბრუნეს და თუ ამ დროს შემდეგ ვინ წელმა გაიარა, რასაკვირველია, მიეცემა პენსია.

სახელმძღვანელო, საშუალებო; საშირო და სასარგებლო ცნობათა ბანუოვილბა.

საჭირო ცნობანი კვირიაკეზე. სმაზე და საცისკრო სასარებაზე მთელ 1896 წელში.

მარტის აპრილის	ლ ზ	თომას კვირა
—	ილ	კვირიაკე მენელსაცხებელთა
—	კა	კვირიაკე გარღვეულისა
—	კმ	კვირიაკე სამარტელისა
მაისის	ბ	კვირიაკე ბრმისა.
—	ჟ	ამაღლება
—	იბ	კვირიაკე წმიდათა მამათა სულის წმიდის მოსვლა

თთვე	რიცხვი	ყოფ. წმიდ. კვირიაკე	ხმა	სახარება
მაისის	ით	ა	ც	ა
—	კვ	ბ	ა	ბ
ივნისის	ბ	ბ	ბ	ბ
—	თ	დ	ბ	დ
—	ივ	ე	დ	ე
—	კვ	ვ	ე	ვ
—	ლ	ზ	ე	ზ
ივლისი	ზ	ც	ზ	ც
—	ილ	თ	ც	თ
—	კა	ი	ა	ი
—	კმ	ია	ბ	ია
აგვისტოს	დ	იბ	ბ	ა
—	ია	ივ	დ	ბ
—	ივ	ილ	ე	დ
—	კა	იე	ე	ე
სექტემბრ.	ა	ივ	ზ	ე
—	ც	იზ	ც	ვ
—	იე	ივ	ა	ც
—	კა	იო	ბ	ვ
—	კთ	კ	ბ	თ
ოქტომბრ.	ვ	კა	დ	ი
—	იბ	კა	ე	ია
—	კ	კა	ვ	ა
—	კზ	კდ	ზ	ბ
ნოემბრის	ბ	კე	ც	ბ
—	ი	კვ	ც	დ
—	იზ	კზ	ბ	ე
—	კდ	კც	ბ	ვ
დეკემბრის	ა	კთ	დ	ზ
—	ც	ლ	ე	თ
—	იე	ლკ	ვ	ც
—	კა	ლბ	ზ	ი

შეწირულებანი,

ეწერის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლის ფი-
ლიმონ მატკავაძისაგან:

„მ. რ.! უმოჩრჩილესად გთხოვთ ნება გვიბო-
ძოთ, რომ თქვენი პატრიცემული გაზ. „მწყემსი“-ს
საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო
როგორც მე, ისე ჩემმა მრევლმა ახ. ოლფანტე ი.
გუგუშვილს, რომელმაც ეწერის წმ. გიორგის ეკლესი-
ისას შემოსწირა კანდელი, ღირებული თათხმეტ
თუნხად.“

მღვდლის გიორგი აბულაძისაგან:

«მ. რ. უმოჩრჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ,
რომ თქვენის პატრიცემულის გაზეთის «მწყემსის»
საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ
როგორც მე, აგრეთვე ჩემმა მრევლმა რწმუნებულ
ჩემდამო თხმელარის მაცხოვრის შტატის ეკლესი-
ისის სამრევლოთაგანებს გ. გლახუა დავითის ძეს
და მისს შვილს სოლომონს ღირდუებს, რომლებ-
მაც კეთილ ისურვეს და შემოსწირეს იმავე ეკ-
ლესიას ხის სამრეკლო ბეჟლის ოთხ ბოძზე გა-
კეთებული, სიმაღლით ხუთი საყენი, ღირებული
80 მ. და მასთან განსახლებლად ამავე ეკლესიი-
სა შემოიტანეს ოც-ღახუთი მანეთი -

პირველი გურძემის მთავარ-ანგელოზის ეკ-
ლესიის მღვდლის ბესარიონ მილორაგასაგან.

«მ. რედ.» ნება მიბოძეთ, რომ თქვენის გაზე-
თის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხა-
დო ყველა იმ პირთ, რომელთაც მხურვალე მონა-
წილეობა მიიღეს ჩემდამო რწმუნებული პირველი
გურძემის მთავარ ანგელოზის ეკლესიის შტატის
ეკლესიის განახლებაში და მატერიალური შემწეო-
ბა აღმოაჩინეს. გარდა ამისა მადლობას უცხადებ
ქალაქ ფოთში მცხოვრებთ ახაურთ დღეტუ გიორ-
გისძე და ფარნა შავარდენის ძე მილორაგებთ, რომ-
ელთაგან პირველმან შემოსწირა ერთი ღირდი ზა-
რა, ღირებული ას ოც მანეთად და მეორემ ჟესტი
ეკლესიის გადასახურავად. ჟესტის ყიდვა და გაკე-
თება დაუჯდა 100 მანეთად.

რედაქციის ზასუსი.

პირი. ბაბ-ძეს ღარჩიას. თქვენგან მოთხოვნილი წიგნი
--მარხვანი არ იმეოანება ვასასყილ-
ლად, დავითნი კი იშოვება, მაგრამ
თბილისში და ღირს მან. ლ 2 შაური.

მღვდ. ილ. გ-მე. იშვითადე ჩვენა ისეთი გლეხი,
რომ მღვდელს გვირგვინის საყურთხი
არ მისცეს. ძველი ეკლესიის მასლა
ისევე ახალ ეკლესიას ეკუთვნის და
ეკლესიაშივე უნდა მოხმარდეს.

მღ. ს. თვალ-ძეს. მარტო რუსული გამოცემა მსწავ-
ლებელთათვის ღირს 2 მ.

ბ. რაე. შარ-ძეს. სწორეთ მადლობის ღირსნი არიან
ეკლესიის შეწირულებისათვის ის
პირნი, რომელთაც თქვენ ასახელებთ,
მაგრამ რედაქციამ რა დააშავა, რომ
14 კაპეიკი გაღიხადა თქვენი წე-
რილისათვის ფოსტაში, რადგან ყალბი
მარკა დაგეკრათ წერილზე?..

ლ. ძილოსონის. თქვენ კითხვას მთელი ვეროპის დიპ-
ლომატიკაც ვერ ახსნან. თქვენსაიეთ
ბევრნი კითხვობდნენ, თუ რატომ არ
სრულდება ყველა უქაზები სინამდვი-
ლითო? ალბათ ემშაკები უშლიან ხელს
ყოველ კეთილ საქმეს!..

ბლ. მ. მანასია ძაბ-ძეს. ჩვენი ზასუსი, „მწყემსი“-ს მე-3
№-ში დაბეჭდილი, თქვენ სრულებით
არ შევცხებთ. ჩვენ გვყავდა სახეში
სხვა ბოლი. კაპანაძე და არა თქვენ.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

ოფიციალური განაწილება: წესდებულბანი მართლ-
მადიდებელი აღსარების უწყების საეკლესიო-სამრევლო და
წერა-კითხვის სკოლების მმართველ-განმგებებს შესაძებ. იმერეთის
გაბრიელის გამარქალური დედათა სასწავლებლის რჩევისაგან.

სალიტერატურო განაწილება: ორი უსანოშნავი
ხანა მთელი ჩვენი იმპერის სამღვდელთებისა -- 1869
და 1896 წელნი. -- რა დროიდან ინიშნებთან საქართველოში
ექსპროსები? -- თამბაკოს წვეის წინააღმდეგ სამღვდლო პირ-
თაგან. -- მიწის ზვავი ს. ხრეთში. -- ახალი ამბები და უსნიშე-
ნები. -- მღვდელთა საყურადღებოთ. -- საეკევა კითხვების განმარ-
ტებით ზასუსი.

სანირო და სასარგებლო ცნობათა განაწილება:
საქირო ცნობანი კვირიაკეზე, ზმზე და საციკრო სახარებაზე
მთელ წელში.
-- შეწირულებანი. -- რედაქციის ზასუსი.

მ წ ყ ე მ ს ი

ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი ზ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ზ ა .

წესდებულება

მართლ-მადიდებელი აღსარების უწყების საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მმართველობის შესახებ.

1. საზოგადო წესდებულება.

1. მართლ-მადიდებელი აღსარების უწყების საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების უმაღლესი მმართველობა და ამ სკოლების აღსაშენებლად და შესანახად დანიშნული საშუალების მოხმარება ეკუთვნის უწმ. უმართებულეს სინოდს.

2. უმაღლესი გამგეობა საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებისა ეკუთვნის უწმ. სინოდთან არსებულ სამოსწავლებლო რჩევას.

3. ადგილობრივი გამგეობა საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებისა, ეპარქიებში, ეკუთვნის ეპარქიის მღვდელთ-მთავრებს, რომელნიც განაგებენ ამ სკოლებს ეპარქიალური სამოსწავლებლო რჩევების და ამ რჩევათა მხარის განყოფილებათა დახმარებით.

4. ეპარქიალური სამოსწავლებლო რჩევის მოვალეობის აღსრულება შეიძლება მიენდოს ეპარქიის მღვდელთ-მთავრისაგან ადგილობრივი ეპარქიალურ მშობათა რჩევებს იმ პირობით, რომ სამოსწავლებლო რჩევის ფულგების ანგარიში ცალკე იქმნეს წარმოებული და ძმობის ფულგებისა ცალკე.

5. ეპარქიალური მეთვალყურეთა მოქმედების გაერთიანებისათვის რუსეთის განაპირა ქვეყნებში და იმ ადგილებში, სადაც სცხოვრებენ სხვა რაჯულის ზე

უსხო ქვეყნის მცხოვრებნი, შეიძლება დანიშნოს უწმ. სინოდისაგან, სინოდის ობერ-პროკურორის წინადადებით, ოლქის მეთვალყურე რამოდენიმე ეპარქიისათვის იმ პირობაზე, რომელთაც მიახლოებით იციან ადგილობრივი მკვიდრთა ცხოვრების სხვა და სხვა პირობანი. ოლქის მეთვალყურე აგრეთვე ითვლებიან ეპარქიალური სამოსწავლებლო რჩევების წევრებად და იღებენ მონაწილეობას მათ კრებებში, როცა კი მოუხდებთ ყოფნა იმ ადგილებში, სადაც ეს რჩევებია.

6. საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების გამგე დაწესებულებათა და მოსამსახურე პირთა მოქმედებათა წესი საქმის წარმოებისა, ფულგების დახარჯვის, შენახვის და სხვა ქონებისა, აგრეთვე ანგარიშები, განმარტებულ იქნება წესდებებით, რომელთაც სცემს უწმ. სინოდის ამ წესდებულებათა განსამარტებლად.

7. უწმ. სინოდთან არსებულ სამოსწავლებლო რჩევას, ეპარქიალურ რჩევებს და ამ რჩევათა მხარის განყოფილებით, საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მეთვალყურეს, მის თანაშემწეთ, აგრეთვე ეპარქიალურ და მხარის მეთვალყურეთ ამ სკოლების უფლება ეძლევათ იქონიონ ბეჭდები დადგენილი ფორმისა.

ეპარქიალური სამოსწავლებლო რჩევები.

26. ეპარქიალური სამოსწავლებლო რჩევა განაგებს საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებს ეპარქიაში, ცდილობს რა, ეპარქიალური მღვდელთ-მთავრების ჩვენებით, როგორც არსებულ სკოლების განკარგვას, ისე ახალი სკოლების გახსნას და მათ შენახვას.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

27. ებარქიალურ სამოსწავლებლო რჩევას შეადგენს თავმჯდომარე, ცხრა მუდმივი წევრი, ებარქიალური საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მეთვალყურე და წევრი სახალხო განათლების სამინისტროსა. პირნი, რომელნიც განსაკუთრებით შემწობას აღმოუჩენენ საეკლესიო სკოლების საქმეს, შეიძლება დანიშნულ იქნენ რჩევის საპატიო წევრებად.

28. რჩევის თავმჯდომარეს ირჩევს ებარქიის მღვდელთ-მთავარი სასულიერო წოდებისაგან მღვდლობის ხარისხის მქონე პირთ, რომელთაც მიღებული აქვს უმაღლესი სასულიერო განათლება და თავისი მრავალი წლის სამსახურით დაუმტკიცებიათ პედაგოგიური გამოცდილება. თავმჯდომარეს ამტკიცებს თანამდებობაზე უწყშიდესი სინოდი.

29. რჩევის მუდმივი წევრები ირჩევიან როგორც სასულიერო ისე საერო პირთაგან. როგორც პირველთა ისე მეორეთა რიცხვის რაოდენობა დამოკიდებულია ებარქიის მღვდელთ-მთავარზე. წევრებს ამტკიცებს თანამდებობაზე მღვდელთ-მთავარი. ებარქიალური სკოლების მეთვალყურეთ ირჩევს მღვდელთ-მთავარი იმ პირთაგან, რომელნიც აკმაყოფილებენ მე-28 მუხლში მოხსენებულ მოთხოვნისაგან და მტკიცდებიან თანამდებობაზე უწ. სინოდისაგან. სახალხო განათლების სამინისტროს მხრით წევრთა ინიშნება ერთი ვინმე ადგილობითი მოსამსახურე სამინისტროსა, სამოსწავლებლო ოლქის მზრუნველის დანიშნით.

30. რჩევის თავმჯდომარის ავადმყოფობისა ანუ სხვაგან მყოფობის დროს, მის თანამდებობას ასრულებს უხუცესი მუდმივი წევრი რჩევისა სასულიერო პირთაგანი.

31. რჩევის დადგენილობანი მტკიცდებიან ებარქიის მღვდელთ-მთავრისაგან.

32. ებარქიის მღვდელთ-მთავრის ჩვენებით იმ საქმეთა გადაწყვეტა, რომელნიც დაყოფიებას არ ითმენენ, მღვდელთ-მთავარს შეუძლია მიანდოს შკოლის მუდმივ კომისიას, რომელიც შედგება რჩევის თავმჯდომარისა და რჩევის აღრჩევით ორი წევრისაგან.

33. ხაზინდარის თანამდებობას ასრულებს რჩევის ერთი რომელიმე წევრი, რომელსაც ირჩევს თავმჯდომარე და ამტკიცებს მღვდელთ-მთავარი.

34. საქმის მწარმოებლის არჩევა დამოკიდე-

ბულია რჩევის თავმჯდომარეზე, საქმის მწარმოებელს ამტკიცებს თანამდებობაზე მღვდელთ-მთავარი.

35. ებარქიალური მეთვალყურენი, რომელნიც იმყოფებიან ებარქიის მღვდელთ-მთავრის განკარგულების ქვეშე, ავალვირებენ საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებს და ამოწმებენ სამოსწავლებლო რჩევების მახრის განყოფილებათა მოქმედებას.

ქ ა ნ შ ე ა ლ უ რ ს ი ს. მ. ი. მ. ს. წ ა ვ ლ ე ბ ლ ო რ ჩ ე ვ ა ა ა ს ა მ ა ს რ ო გ ა ნ უ ო ფ ი ლ ე ბ ა ნ ი.

36. მახრის განყოფილებანი ებარქიალურ სამოსწავლებლო რჩევათა განაგებენ საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებს მახრებში და იმათ შესაფერ ადმინისტრაციულ განყოფილებებში.

37. მახრის განყოფილებას შეადგენს თავმჯდომარე, რვა მუდმივი წევრი, საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მახრის მეთვალყურე და ადგილობითი ბლოკჩინები. ებარქიის მღვდელთ-მთავარს ნება აქვს მოუწოდოს თითო წევრს მახრის საერო კრებისა და ქალაქის საზოგადოებისაგან, რათა მათ მოწაწილეობა მიიღონ მახრის განყოფილებებში.

38. მახრის განყოფილების წევრთა შორის, თავიანთ თანამდებობისაებრ, ითვებიან: სახალხო სკოლების ადგილობითი ინსპექტორი ანუ სხვა პირი სამოსწავლო უწყებისა, სამოსწავლო ოლქის მზრუნველის დანიშნით, და მახრის უფროსები, ანუ მოსამსახურე პირნი, რომელნიც განაგებენ საგლეხო საზოგადო სამართველოს.

39. მახრის განყოფილების თავმჯდომარეთ ებარქიის მღვდელთ-მთავარი ნიშნავს მახრის მეთვალყურეს ანუ ადგილობით მღვდელთაგან ერთ რომელიმეს. მღვდელთ-მთავარივე ნიშნავს მუდმივ წევრებს სასულიერო და საერო პირთაგან. მათი რიცხვის რაოდენობა დამოკიდებულია მღვდელთ-მთავარზე. მახრის მეთვალყურის ადგილზე მახრის განყოფილება ირჩევს სამ კანდიდატს მრევლის მღვდელთაგან, რომელთაც გამოიჩინეს ზრუნვა, გულს მოდგინება და გამოცდილება საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების დაარსების და მმართველობის საქმეში. არჩეულ პირებს მახრის განყოფილება უდგენს ებარქიალურ სამოსწავლებლო რჩე-

ვას, რომელიც ამ დასახელებულ კანდიდატებში ერთ უფრო ღირსეულს, ანუ ზოგს შემთხვევაში თავისაგან არჩეულს, უდგენს დასამტკიცებლად მღვდელთ-მთავარს. რჩევის წარდგენასთან ერთად მღვდელთ-მთავარს ედგინება აზრი ეპარქიალური მეთვალყურესი არჩეულ პირის შესახებ. წვერი განყოფილების მხარის სათემოს შეკრებილობისა ირჩევა ამავე შეკრებილობისაგან, ხოლო წვერი ქალაქის საზოგადოებისაგან ირჩევა ქალაქის რჩევისაგან, ანუ მის მაგიერი დაწესებულებისაგან.

40. ეპარქიალურ რჩევების მხარის განყოფილებათა უწყების სამეცადინო საგნებს შეადგენს: 1) გამოჩნება ზომათა შეკოლების გასამრავლებლად და შესანახავად; 2) ზრუნვა აღმწენებისათვის: ა) დამატებითი სკოლებისა იმ საგნების შესახებ, რომელთაც გადიან ერთ კლასიან და ორ კლასიან სკოლებში; ბ) ყოველ დღიურ გაკვეთილების დაწყება დიდებთათვის; გ) განსაკუთრებით სახელოსნო და ხელ საქმის გაკვეთილების შემოღება; დ) საკვირაო სკოლების დაარსება იმ პირთათვის, რომელთაც შეძლება არა აქვთ ყოველ დღე ისწავლონ, და ე) სახალხო საკითხავების დაარსება მღვდლის ხელმძღვანელობით, სკოლის ანუ სხვა შენობაში; ე) დაარსება მოკლე ვადიანი პედაგოგიური კურსებისა და გალობის გაკვეთილისა საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელკაცთა და ქალთათვის; 4) სკოლების წიგნთ-საცდების საშუალებით გავრცელება, ეპარქიის მღვდელთ-მთავრის ჩივებით, წიგნებისა და წიგნაკების, რომლებიც აზიზილებენ სექტანტების ცრუ სწავლას; 5) გამოჩნება ადგილობით ფულებისა სკოლების შესანახავად და გასავრცელებლად; 6) დაარსება წიგნების საწყობისა და ამ საწყობების განყოფილებათა გახსნა სამრევლო ეკლესიებთან; 7) მიწოდება საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებისათვის უწყ. სინოდისაგან და უწყობდეს სინოდთან არსებული სამოსწავლო რჩევისაგან მოწონებული სახელმძღვანელოებისა და საკითხავი წიგნებისა; 8) წარდგენა ეპარქიის მღვდელთ-მთავრისადმი, ეპარქიალური სამოსწავლებლო რჩევის საშუალებით, ფულით და საპატოო საჩუქრებით წახალისება გამოკდილ და ერთგულ სამღრთო სჯულის და სხვა საგნების მასწავლებელი კაცების და ქალებისს.

41. მხარის განყოფილება შობის მასწავლებლებს საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკო-

ლებისათვის იმ შემთხვევაში, როცა ადგილობითი მღვდელი ვერ წარმოადგენს ამ თანამდებობაზე ღირსეულ კანდიდატებს. ის პირნი, რომელთაც მხარის განყოფილება ირჩევს საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლის თანამდებობაზე, ეპარქიის მღვდელთ-მთავრის მიერ დამტკიცებად, განყოფილებათა უმუძლიათ მიუშვან თანამდებობის ასრულებასზე. წერა-კითხვის სკოლის მასწავლებლებს თვითონ მხარის განყოფილებანი ამწყებენ.

42. მხარის განყოფილების დადგენილობანი მტკიცდებიან ეპარქიის მღვდელთ-მთავრის მიერ ეპარქიალური სამოსწავლებლო რჩევის დადგენით, გარდა დადგენილობათა იმ საგნების შესახებ, რომელნიც მღვდელთ-მთავრის მიერ გადაეცემა თვითონვე განყოფილებათა საბოლოო გადასაწყვეტად.

43. მხარის განყოფილების წევრნი თვის შობის ირჩევენ საქმის მწარმოებელს და ხაზინადარს. განყოფილების კანკლარიის ხარჯად ადგილობით შემოსავალთაგან (მუხლ. 40, პ. 5). ეპარქიალური სამოსწავლო რჩევის ნებართვით ინიშნება არა უმეტეს ორასი მენეთისა წველიწადშა თითოეულ განყოფილებაზე.

44. მხარის მეთვალყურესი, რომელიც თანაშემწენი არიან ეპარქიალური მეთვალყურესი, რომლის მიწოდებლობასაც ისინი ასრულებენ, ხელმძღვანელობენ სასწავლო და ნივთიერ ნაწილებს სკოლებში. ისინი რაც შეიძლება ხშირად ნახულობენ სკოლებს და რასაც შენიშვენ, იმას მოახსენებენ მხარის განყოფილებათ.

45. განყოფილების წევრნი ამავე განყოფილების, ანუ ეპარქიალური სამოსწავლო რჩევის მიწოდებით რევიზიას უშვებნიან ადგილობით სკოლებს ღთვანთი რევიზიის შესახებ ანგარიშს უდგენენ განყოფილებათ.

46. მხარის განყოფილებათა წევრთ განყოფილების ნება-დაურთავათაც შეუძლიათ რევიზია უქნან საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებს. ასეთი დათვალეირების დროს ეს წევრნი არავითარ განკარგულებას არ ახდენენ თავანთი უფლებით, ხოლო რასაც შენიშნავენ, საქიროებისა დავებრად, განყოფილებას აცნობებენ.

47. მხარის განყოფილება ადგენს ყოველ-წლიურ ანგარიშს სკოლების მდგომარეობის შესახებ მხარის მეთვალყურის, ბლადონინების და აგრეთვე

განყოფილებას წევრთა პირდაპირი მოხსენების თანახმად. მზარის განყოფილების ანგარიშები იდგინებიან ეპარქიალურ სამოსწავლო რჩევაში არა უგვიანეს პირველი აგვისტოსა საანგარიშო წლის დასრულების შემდეგ.

ხელი მოაწერა: აკაკი კეკელიძე, საეკლემწიფო რჩევის მხატვარი.

იმერეთის ეპარქიალის ეპარქიალური დედათა სასწავლებლის რჩევის აკან.

იმერეთის ეპარქიალური საქლო სასწავლებლის რჩევა, თანახმად თავისი ყურნალის დადგინებისა, რომელიც დამტკიცებულია ალავერდის ეპისკოპოსის, იმერეთის ეპარქიის დროებით მმართველის ყოვლად სამღვდლო ბესარიონის მიერ, 12 აპრილს ამა წლისა, ამით აცნობებს ყოველთა, რომ ამ სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში მიიღებიან ბავშვები 8--10 წ., რომელთაც იციან წერა-კითხვა რუსულს ღ ქართულ ენებზე (ქართული წერა-კითხვის ცოდნა არ მოეთხოვებათ რუსებს) და პირველ-დაწყებითი ყოველ დღიური ლოცვები: „სახელითა მამისათა“, „უფალო შეგიწყალე“, „გვაკურთხე უფალო“, „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო!“ „დიდება შენდა, იმერთო ჩვენო“, „მეუფეო ზეცათაო“, „წმიდაო ღმერთო“, „დიდება მამასა“, „ყოვლად წმიდაო სამებაო“, „მამაო ჩვენო“, „ღვთის-მშობელო ქალწულო“, „აცხოვნე უფალო“ და თვლა და ანგარიში ათამდე.

მიიღება ხელის-მოწერა 1896 წლისათვის ოკტომბრულ გამოცემათა კარტულს

„მწემს“-ზე

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ფასი ქუონნალისა:

- 12 თვით «მწემსი» 3 მ. 6 თვით «მწემსი» 2 მ.
- ,, ორივე გამოცემა 5 ,, — ,, ორივე გამოცემა 3 ,,
- ,, რუსული ,, 3 მ. — ,, რუსული ,, 2 ,,

სოფლის მასწავლებელი და ღარბით გახეთქილი დემობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანკეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშილეთის სახლებში და ვეიბაღაში ოქტაქორის საკუთარს სახლებში.

ზარევე მცხოვრებთა ყურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Вь Квирпы, вь редакцію газеты и журнала „МЦКМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

ამ მიმდინარე წლის საჩუქარი შოთა რუსთაველის მხაზმრობა უკვე დაუთრავდათ ხელის მოაწერეთ და ესაც ჯერ არა აქვს მიღებული, ისინიც მალე მიიღებენ.

1896 წლის «მწემსი»-ს ხელის მოაწერებს საჩუქრათ ეძლევათ მისწრდია ფოტოგრაფიული მსაჯრობა საქართველოს მეფის წმ.

დაპით ალფაუნაგელიისა

ღმ იმერეთის ეპისკოპოსის

გ ა ბ რ ა ე ლ ი ს ა

რედაქციაში იმეკონება 1887 წლიდან დაწყებული «მწემსი»-ს ყველა ნომრეი. ფასი წლიური გამოცემისა ღლით ს.მ. მანეთი. სტამბაში იმეკონება ყოველგვარი საეკლესიო საბუთების და სხვა მოწმობათა და გამოწერილობათა ბლანკები იაფ ფასად.

საქართველოს
დემოკრატიული
პარტია